




32-ე განყოფილება
საანბარიშობო პერიოდის
შემდეგი მოვლენები

განსახილველი საკითხები

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების განმარტება
- აღიარება და შეფასება
- განმარტებითი შენიშვნები
- შედარება სრულ ფასს-თან

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების განმარტება

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე.



საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების განმარტება

არსებობს ორი ტიპის მოვლენები:

(ა) მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები); და

(ბ) მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები).

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები - საწარმომ უნდა დააკორექტიროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები, მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

მაკორექტირებელი მოვლენები - საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ:

- სასამართლო დავის გადაწყვეტა;
- ინფორმაციის მიღება, რომ აქტივი გაუფასურებული იყო ან აღიარებული გაუფასურების ზარალის თანხა საჭიროებს კორექტირებას (დებიტორის გაკოტრება, მარაგის გაყიდვა თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად).
- საანგარიშგებო თარიღამდე შექმნილი აქტივების თვითღირებულების, ან აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის განსაზღვრა;
- მოგებაში მონაწილეობის პროგრამის მიხედვით გადასახდელი თანხების, ან გადასახდელი პრემიების სიდიდის განსაზღვრა;
- თაღლითობის ან შეცდომების აღმოჩენა, რომელიც ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგება მცდარია.

მაგალითი – აღიარება და შეფასება

მაგ 1(8). 20X1 წლის 28 თებერვალს, საწარმოს 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად. 20X0 წლის 31 დეკემბრამდე, საწარმომ მომხმარებელს მიყიდა ზოგიერთი პროდუქტი კრედიტით. 20X0 წლის 31 დეკემბერს, საწარმოს ხელმძღვანელობას ეჭვქვეშ არ დაუყენებია მომხმარებლის შესაძლებლობა გადაეხადა 200,000 ფე-ის ოდენობის დაუფარავი სავაჭრო მოთხოვნები. თუმცა, 20X1 წლის თებერვალში, ფინანსური ანგარიშგების მზადების დასრულებისას, საწარმომ შეიტყო, რომ მომხმარებელი აპირებდა ლიკვიდაციას, რადგან მას ჰქონდა დიდი ოდენობის ვალი, თითქმის არანაირი ფულადი სახსრების შემოდინება და მისი ბუღალტრული ჩანაწერები იყო შეუსაბამოდ წარმოებული. ამ გარემოებების გამო, სავაჭრო მოთხოვნები მიჩნეულ იქნა გაუფასურებულად.

როგორი ტიპის მოვლენა აღწერილი?

მაკორექტირებელი. მომხმარებელი 20X0 წლის 31 დეკემბერს ფინანსურად რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შესაბამისად, სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი ოდენობისთვის უნდა შეიქმნას უიმედო ვალების ანარიცხი 200,000 ფე-ის ოდენობით, შესაბამისი 200,000 ფე-ის ოდენობის ზარალის აღრიცხვით მოგებაში ან ზარალში.

თუ დებიტორის ფინანსურად არასტაბილური მდგომარეობა წარმოიქმნებოდა 20X0 წლის 31 დეკემბრის შემდეგ (ანუ, დებიტორის ფინანსური მდგომარეობა მყარი იყო 20X0 წლის 31 დეკემბერს), მაშინ ეს მოვლენა იქნებოდა არამაკორექტირებელი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები - საწარმომ არ უნდა დააკორექტიროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები.

არამაკორექტირებელი მოვლენები - საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ:

- უჩვეულოდ დიდი ცვლილებები აქტივის ფასებში ან სავალუტო კურსებში.
- საწარმოს სასარგებლოდ სასამართლო დავის გადაჭრის შედეგად თანხის მიღება (პირობითი აქტივის გარდაქმნა აქტივად);
- დივიდენდების გამოაცხადება;
- ძირითადი საწარმოო მოწყობილობების განადგურება ხანძრის შედეგად;
- საწარმოს წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტების გამოშვება ან გამოსყიდვა;

აღიარება და შეფასება

გამონაკლისი (წესი): თუ მოვლენის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო აღარ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, მაშინ უნდა მოხდეს რიცხვების კორექტირება, რომლებიც ასახავს სხვა მომზადების საფუძველს (მაგალითად, შესაძლოა გამოიყენოს სალიკვიდაციო ღირებულებები, როგორც შეფასების საფუძველი) („მომზადების საფუძველთან დაკავშირებული მოვლენა“)

- საწარმომ უნდა მიუთითოს თარიღი, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა და ორგანო, რომელმაც დაამტკიცა.
- არამაკორექტირებელი მოვლენების თითოეული კატეგორიისათვის უნდა გაამჟღავნოს:
 - მოვლენის ხასიათი; და
 - საწარმოს ფინანსურ მარვენებლებზე მისი გავლენის შეფასება, ან განაცხადოს, რომ შეუძლებელია ასეთი შეფასების განსაზღვრა.

მაგალიტი - განმარტებითი შენიშვნები

45

მაგ 2(16). 20X1 წლის 1-ელ მარტს, საწარმოს 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად.

საწარმომ, 20X0 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მისი არაჰეჯირებული გრძელვადიანი ვალდებულება 2,000,000 უფე შეაფასა 4,000,000 ფე-ად, ვინაიდან 20X0 წლის 31 დეკემბერს სპოტ სავალუტო კურსი) იყო 2ფე:1უფე.

20X1 წლის 1-ელ მარტს, სავალუტო კურსი იყო 2.5ფე:1უფე.

როგორ უნდა ასახოს აღნიშნული მოვლენა განმარტებით შენიშვნებში?

მაგალითი – განმარტებითი შენიშვნები

46

მაგ 2(16). (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნა 20 —საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

20X1 წლის 1-ელ მარტს, მაშინ როდესაც სავალუტო კურსი იყო 2.5 ფე:1 უფე, ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად. სავალუტო კურსის გაუარესებამ, რომელიც 20X0 წლის 31 დეკემბერს იყო 2 ფე:1 უფე, გაზარდა უფე-ში განსაზღვრული ვალდებულების მოსალოდნელი დასაფარი თანხა 1,000,000 ფე-ით.

შეღარება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მითითება საწარმოს ფუნქციონირებადობაზე კონკრეტულად მოცემულია ბასს 10-ში, მაშინ როდესაც *მსს ფასს* სტანდარტში ეს საკითხი გვხვდება მე-3 განყოფილებაში - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“.